

გენდერული დისკურსის თავისებურებები თანამედროვე ქართულ მოთხრობაში

ბარბარე ჯალიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობა (შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ცაგარელი, პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბარბარე ჯალიაშვილი.

26.06.2017

მიძღვნა

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება შოთა ზაქაიძის ხსოვნას.

მადლობა

მადლობას ვუხდით შოთა რუსთაველის ფონდს სამაგისტრო კვლევის დაფინანსებისათვის.

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ლევან ცაგარელს, ნაშრომის წერის პროცესში დახმარების, გამოჩენილი ყურადღებისა და მოთმინებისათვის.

მადლობას ვუხდით ანა კორძაია-სამადაშვილს, რომელიც დამეხმარა საკვლევო ობიექტების შერჩევასა და მოძიებაში.

მადლობას ვუხდით სალომე ცოფურაშვილს, რომელმაც მომაწოდა იდეა ბახტინის კონცეფციაზე და შესაბამისი ტექსტების მოძიებაში დამეხმარა.

მადლობა სოსო ჭაუჭიძეს, რომელიც პერმანენტულად არედაქტირებდა ნაშრომს.

და ბოლოს, მადლობას ვუხდით ქრისტიან აუფ დერ ლაკეს, კვლევის ფარგლებში გაწეული ტექნიკური დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ერთ სიუჟეტზე აგებული ორი თანამედროვე ქართველი ავტორის მაკა მიქელაძისა და დათო ქარდავას მოთხრობები.

კვლევის მიზანია, სემანტიკური ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნას თანამედროვე ქართული ლიტერატურული ტექსტების ენა და წარმოაჩინოს ის მიმართებები, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებებში გენდერულ ბინარობასა და იერარქიას წარმოქმნის. ამასთან, მიხაილ ბახტინის დიალოგურობის თეორიისა და იმ ფემინისტური კრიტიკის პროდუქტიული კომბინაციის მიხედვით, რამაც საშუალება მოგვცა, ბახტინის თეორიაში ქალის „ხმები“ აღმოგვეჩინა, გაანალიზებული იქნება გენდერული უთანასწორობის ლიტერატურული სუბვერსიის მცდელობა, რომელიც ამ ტექსტებში იჩენს თავს.

საკვლევ ობიექტად შეირჩა ორი თანამედროვე ქართული მოთხრობა: დათო ქარდავას „რა გნებავთ ქალბატონო“ და მაკა მიქელაძის „პასუხი პასუხით“. განსხვავებული სქესის ავტორთა ტექსტების შედარება საშუალებას იძლევა, სემური ანალიზის მეშვეობით გაანალიზდეს მათი სალიტერატურო ენა; სემანტიკური ანალიზის დახმარებით გამოვლინდეს ჩაგვრის, სოციალური იერარქიებისა და ასიმეტრიული გენდერული მიმართებების გავლენა თითოეულ ტექსტზე; დიალოგურობის ბახტინისეული კონცეპტის გამოყენებით გამოირკვეს, რამდენად წარმატებულად ხერხდება - დომინანტური სააზროვნო, ენობრივი კატეგორიების იმიტირებისა და გაბუნდოვნებების მეშვეობით - მყარი გენდერული იერარქიების სუბვერსია.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე შექმნილი სემანტიკური ანალიზის მეშვეობით წარმოებული კვლევების სიმწირით. კვლევის უპირატესობას წარმოადგენს, ერთი მხრივ, სემანტიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა, სიტყვის მნიშვნელობა გაანალიზდეს კონტექსტთან მიმართებით, მეორე მხრივ

ბახტინის დიალოგურობის პრინციპი, რომელიც, ფემინისტური კრიტიკის შეთვისებითა და მოცემული ტექსტების ერთმანეთთან დიალოგში ჩართვით, საშუალებას იძლევა, შეფასდეს მყარი გენდერული ბინარობების გადალახვის მცდელობები.

კვლევა წარმართულია ბახტინის დიალოგურობის პრინციპზე დაყრდნობით, გენდერული თეორიების გამოყენებითა და სემანტიკური ანალიზით. ნაჩვენებია ქალის ხმის როლი ფემინისტურ კრიტიკაში და ახსნილია მისი ჩახშობისა და ალაპარაკების შემთხვევები მოთხრობებში „რა გინდათ ქალბატონო“ და „პასუხით პასუხში.“

საკვანძო სიტყვები: დიალოგურობი, ბახტინი, დათო ქარდავა, მაკა მიქელაძე, გენდერული ასიმეტრია, ბინარული ოპოზიციები, იერარქია, სუბვერსია.

Abstract

This work examines two stories that share the same plot, written by contemporary Georgian authors, David Kardava and Maka Mikeladze.

The research aims to study the semantic analysis of language in the modern Georgian literary texts and explicate the means, which create gender binary and hierarchical relations in fiction. Besides, the paper will analyze the subversion of gender inequality through Bakhtin's theory of dialogism and the feminist literary criticism - theoretical approaches that made a productive contribution and enabled researchers to identify women's voices in fiction.

The research focuses on two Georgian contemporary short stories; Maka Mikeladze- "Answering with Answering " and Dato Kardava's short story "What do you want, Madam?" The comparison of the female and the male author, through semantic analysis, allows one to analyze literary language; elucidate the effects of oppression, social hierarchies, and asymmetric gender relation, using semantic analysis; By employing Bakhtin's concept of dialogism, the paper will assess the subversive potential of substantial gender hierarchies, through imitating and blurring of dominant mental and linguistic categories.

The relevance of the paper is conditioned by a lack of research on contemporary Georgian literature through semantic analysis. The importance of the work lies in the use of semantic analysis that makes clear the meaning of "the word in a context" on one side and the principle of Bakhtin's dialogism on the other, which assesses the trials to overcome gender binary through feminist literary criticism and the engaging dialogue between two texts.

The conducted research is based on Bakhtin's dialogism, using gender theories and semantic analysis. The work depicts women's voices in feminist criticism and explains the occasions of its submersion and liberation on the example of the short stories discussed.

Key words: Dialogism, Mikhail Bakhtin, Dato Kardava, Maka Mikeladze, Gender Asymmetry, Binary Oppositions, Hierarchy, Subversion, critique.